ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ——————— ——————————————— 2015

ერთის მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო, მისამართი ქ. გორი, სუხიშვილის ქ. №2

(შემდგომში „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____

_____

(შემდგომში „მიმწოდებელი“)
(მომწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა **გამარტივებული ელ. ტენდერი ძრავის ზეთის და საპოხი მასალის** შესყიდვის მიზნით.

(საქონლის მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება საქონლის მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე:

_____

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი;
გ) საქონლის მიწოდების გრაფიკი;
დ) ტექნიკური პირობები;
ე) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
ვ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (მოთხოვნის შემთხვევაში)
ზ) ფასების ცხრილი

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი ორგანიზაცია:
შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ---------- **იაგო საური**	

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო, ქ. გორი სუხიშვილის ქ. №2
(შემდგომში შემსყიდველი)

მეორეს მხრივ — „----------“, მის. ქ. , ----------
(შემდგომში მიმწოდებელი)

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ **ძრავის ზეთის და საპოხი მასალის** შესყიდვა.

შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსთვის **ძრავის ზეთის და საპოხი მასალის** მიწოდება, 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან 20 კალენდარულ დღეში.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად საქონლის მიწოდების ვადა, ფორმა და ხარისხი.

ინსპექტირების ჯგუფი:

ავთანდილ ლობჟანიძე
ნოდარ კვიცაძე

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისის ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) უნდა იყვეს მაღალი ხარისხის.

4.5. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. ანგარიშსწორება

5.1. უნაღდო. ანგარიშსწორების ფორმა – სტანდარტული.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება, ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1 არანაკლებ 15000 კმ. გარბენზე

7. ფასები

7.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების (მომსახურების) ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი
კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11.2 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ---ის ოდენობის საბანკო გარანტია.

12.2 გარანტია უკან დაუბრუნდაება მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

12.3 გარანტია არ იქნება დაბრუნებული თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი ორგანიზაცია:
შსს შიდა ქართლის სამხარეო	
მთავარი სამმართველოს უფროსი	

იაგო საური	